

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 8 4 7

ქ. ბათუმი, 30 დეკემბერი 2019 წ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლის და 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ თანამშრომლები.

2. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ დირექტორს სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ის პირი, რომელიც ვალდებული იქნება სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში დადგენილი წესით აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1836 ბრძანება.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 3 იანვრიდან.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი